F-1 N 62932

№ 1
ხუთშაბათი, 1 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

ხუთშაბათი, 1 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.
გაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა-ბმაგრ. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
8	8	—	3	3	50
9	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ბიბლიოთეკა
ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА
ГРУЗ. ФИЛ. ПРИ ЦК РКП (б)
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ
БИБЛИОТЕКА
ГРУЗ. ФИЛ. ПРИ ЦК РКП (б)

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 4 იანვარს.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

ანტონ ალექსანდრეს ძე კრავეცი, ეკატერინე ბესარიონის ასული ივანოვისა, პავლე იაგორის ძე ივანოვი, მღვ. ნიკიფორეს მამამთავრიშვილი, მარიან პავლეს ასული მამამთავრიშვილი, გიორგი პავლეს ძე და მართა, სოფიო და ნინო პავლეს ასულნი ივანოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორე და მესამე—ქალიშვილისას, მეოთხე—ცოლის დისას და დანარჩენნი—დისას,

ელისაბედ პავლეს ასულის კრავეცისას,

ამასთან აცნობებენ, რომ პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, ჭავჭავაძის ქუჩა, სახლი № 33.
დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.
(1—224—1)

ტფილისი, 31 დეკემბერი

აბა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვეულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვეხოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედოთ ამ ახლო ხანებში ტ ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წარხვედი“! წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: მოვედინ, დღეო სიხარულისაო!.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუ თუ ისეე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკოთ და მოგახსენოთ: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი... სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თვითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თვითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა ჰსხლავს, არა ჰფურჩქნის, არ ულვის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენ, თქვენ იცით და თქვენსა კაცობამოა. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგავია-რა, არა დაუკლია-რა. თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს,—ქრისტე ღმერთმა თვისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვეპირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავი შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყანისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ღღევა, ხორცი აღნება. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალ, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მიიხვეპო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხვევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გფურთხილება, შენ ხვალ, პატრონობა, გამოზოგვა საჭირიბისაქრ და არა გაუმაძღარ სურეილისამებრ. ვართ-კი ასეთნი!.. რა კითხრთ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები აი მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრეჩენა ცხელთა არ გამოგვივლია, რა წის-ქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თაგზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუშაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შეგრჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვეცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი ვერცელ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსინეს, მოგვეღლტეს და მაინც ფეხზედ წამოვდგეთ, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელით საპერძნოს, რომსა, მონღოლებს, არაბეს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, ჯულიანსა და ურუსულს და ლრიშა ქართველობისა, შუბის წვერთ ისრით და ტყვით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევრჩინეთ, არავის წავალენინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭრას!.. დროჟამი ამას გვიქადის. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვთ ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი დ ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას სყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბეჭთა ჯოჯხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწუდით, გავიტლტლინეთ, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ამ ერთი მუჯა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ. არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავ-მოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდარად გიიხდოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღონა როგორც მძოვრი, როგორც ლეშ! რად? რისთვის? ვის რა ვირი მოპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საპეროა,—რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რაღა გვაცოცხლა, რამ გვა სულიერა? მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭიდვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებული, იმ დროთა სამკედურში ნაჭედნი. „სილაბო გვქონდა ნაქსოვისა“ ვით ქრისტიანებს „და სიტკიცე ნაჭედისა“, ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ლონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩოლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თარაზუ უნდა შევდვათ. აღარაფრის მაქნისია. ეხლა ან აღლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა-კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვეპირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩინ, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი. არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშედამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიჭრობს, გავიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს შრომა, და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე,

ფელეტონი

მეელი და ახალი ამბავი

—

რასაც კაცი თავისს თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო, ნათქვამია. მართლაც-და საოცარი საქმე ვუყავით ჩვენს თავს. ძვირად თუ შეჰხედებით მაგალითს, რომ ეგზომ მოკლე ხნის განმავლობაში ერი ისე რიგად დასუსტებულიყოს ქონებითად, როგორც ჩვენ დავსუსტდით. ამ ორმოცის, ორმოც-და-ათის წლის წინად ქვეყანა ჯერ კიდევ ჩვენი იყო, საქართველოს უმეტესი და საუკეთესო ნაწილი ქართველისავე საკუთრებას შეადგენდა; იგი იყო ქვეყნის ბატონიც და პატრონიც, ნიადაგზე მაგრად ფეხი ედგა, შეშლილურ მიწასთან შესისხლხორცებული, ისტორიულად დამამშვილებული. ამ გარემოებას ღონეც თან მოსდევდა, გავლენაც თან მოჰყვებოდა; ყველა პატივის-ცემით გვპყრობოდა. ჩვენი რიდი ჰქონდთ. ერთი ბეწო წინასწარ ხედვა რომ ღმერთს ებოძებინა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფდა—სამუდამოდ ქონებრივად დამოუკიდებელ მდგომარეობას დავიმკვიდრებდით და „უეჭდის კანცელარიებში“ ლუკმა პურის ძებნა არ დაგვჭირდებოდა. განა მართლა, რა გვაკლდ? საქართველო ღვთის-მშობლის ბეედრიაო, ნათქვამია, და ღირსიც იყო. დასაბამიდანვე ბევრ ცდილობდა ჩვენს ქვეყნის დაემბას და ეხლაც ბევრი ეტრფიალება; ბევრს იზიდავს იგი, მის ღია მკერდზედ ბევრს სურს ბინა გაიჩინოს, საფუძველი ჩაადგოს, მაგრად ფესვი ეიდგას, საქართველოს ლაყვარდი ცაქუდოს და მამულიშვილთა სისხლით დანამული ალიწა იქალამნოს.—არა გვაკლდ-რა, მაგრამ ვერ შეეშვნიეთ, ვერ დავაჯესეთ! ერთს თავაღ ჰკითხეს, თქვენ ყოფრ მდიდარი ბრძნდებით, თუ ეგ ძვენი მეზობელიო.—რასა ბრძანებთო, უპასუხა თავადმა, მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე შოვასა და შეძენას მოვანდომე, მაგრამ საიმისოდ მაინც ჯერ ვერას გავხდი-რა, და ეგ დალოცვილი ჩემი მეზობელი საყოველდანვე ოჯახს ანგრევს, მარა ჯერაც ერ დაუნგრევიაო. ეს იმასთან აბა ოგორ მოგალო. ამ „მეზობლის“ ცოცვა-მოქმედება არა ერთი ამბავია,—თიოქმის საზოგადო მოვლენა იყო ჩვენში. ნახევარის საუკუნის განმავლობაში ჩვენს კეთილდღეობას ძირს ეთხრიდით, და ვაი, საწყალელს მივაღწიეთ, ჩვენს თავს ბოლო მოვუღეთ. საუკეთესო მამულები, საუკეთესო ნაწილი საქართველოსი ჩვენს უცილობელ საკუთრებს შეადგენდა. ეს იყო ბურჯი, ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული სიმაგრე. განქრა, ზოგის ხსენებაც მოიაჭო და ვისაც რამ ჯერ კიდევ შერჩა, ვაი იმ შერჩენას. დაღმდება, არ ვიცით, რა ღილა გაგვთენდება და გათენდება, არ ვიცით, როგორ დავაღამებთ.

ჩვენი სიმდიდრე ჩვენი მიწა-წყალი იყო, ჩვენი ეროვნული ციხე—ჩვენი ოჯახი. ერთიც ფეხ ქვეშედამ გვეცლება და მეორეც შიგნიდამ ჩვენვე გავტეხეთ. ეხლა დავმჯდარვართ და სხვას ქოქოლას ვაყრით, სხვას ვხდით ბრალდებულად, ჩვენს დამცირების მიზეზს სხვაგან ვეძებთ, ჩვენს სისუსტეს სხვის ძლიერებას ვაწერთ. მართალია, არც ეს არის უსაბუთო, უმიზეზო, მაგრამ განა მარტო სხვამ ჰქმნა, რაკა ჰქმნა და რაც დღე გადგია? განა ჩვენ თითონ არასფერს შუაში ვართ? მარტო სხვას რას ვუჩივით, როცა ჩვენ უფრო მეტი ბრალი გვაწევს და უფრო მეტი ცოდვა მიგვიძღვის? თავ-მოყვარეობა არ მნებდება, თორემ ალვიარებდი, რომ ეგ სულ მოკლეობის ნიშანია. მხოლოდ სულ-მოკლესა და მხდალს ეშინიან თავისს გულში ჩაიხედოს, თავისს თავს დაეკითხოს, თავისისავე არსებაში მოიძებნოს მიზეზი თავისივე უბედურებისა; სხვამ წამახდინაო. სხვაზე ჩივილი ეგ ყოველ დუნე გონებისა და ჩლუნგ ხასიათის თვისებაა. ვისაც საქმაო ეზარება, მოძრაობას ერიდება, დაბრკოლებასთან ბრძოლისა ეშინიან, ის პასუხისგების ტვირთს იშორებს, სცდილობს ეგ პასუხის გება სხვას აკისრებინოს. ვინ ამბობს, სხვა გარემოებაც ხელს გვიწყობდა უფსკრულისაკენ დავქანებულიყავით, მაგრამ დროს უკუღმართობას კიდე გავუძლებდით, რომ ჩვენვე არ დაგვერღვია ჩვენის სიმაგრის საფუძველი.

სად გჰქრა, სად წავიდა ამდენი ქონება, ცხოვრება სიმდიდრე? მამულებისავე განკარგებაში? არა. ეგებ ქვეყანას მოვახმარეთ, მისი ბედნიერებისა და წარმატებისათვის გამოვიმეტეთ რამ? არა და არა. ამ გვარ ღვაწლს ღმერთმა გვაშორა, ამის გრძნობა ჩვენ ვინ მოგვცა, ამ სულის სიმაღლემდე ჩვენ რა აგვიყვანს? ვინ

რომ ყოველივე ეს ვიცი და ვემზადებით? რა გითხრათ? რი[illegible] გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, ზხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოაღვიოს, მოღიაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გული ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩაწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და, ვითარცა შრომა, პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ ხმლისა და თოფის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედ-გამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თვითონ დღევანდელი დღე ამას ვეფუძნება, ამას ჰღალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვი[illegible] რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ რანი ვართ, ვერ გამოგვისახია რანი ვიქმნებით. ეურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზედ ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგეგართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჭეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც-კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწოწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და ეულონოდა ვბზუთთ „მეკარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილოდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაკონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვეს: რა გითხრათ? რით გაგახაროთო?

საახალწლო სამზეზეინი

(გაზეთის თანამშრომელთა ცხრებიდგან)

ეს მეშვიდე ღამე იყო. ექვსი დღე და ღამე ძილში, სიზმრ[illegible], სიარულის ყამს, სადილად, ვახშმად ერთი ფიქრი არ მაძლევდა მოსვენებას. თან დამდევდა იგი ყველგან და მტანჯავდა, მაწამებდა, მქენჯნიდა, ყოველივე სხვა ზრუნვა, სხვა სანაღვლელი დამავიწყა. ის ვახდა მიზეზი, რომ ჩემის თერძის წინ, რომელსაც ყოველთვის ვერიდებოდი, გავიარე და აქ ძველი ვალი მთხოვეს. ამ ფიქრის წყალობით ცხენის ჩინის გზის მატარებელზედ, როდესაც ვ[illegible]ლაც ქალი დაჯდა ჩემს გვერდით, ჩემი ცოლი მეგონა და ბილეთი იმისთვისაც ავიღე და ჩემთვისაც, რის გამოც იმისმა ქმარმა, ნამდვილმა ქმარმა, დიდი აურზაური და ჩხუბი ამიტეხა და თავი ძლ[illegible] მოვიბოდიშე. ამავე ფიქრში გარ[illegible]ული სამს სარდაფში ჩავვარდი— რს სირაჯთანა და ერთს მენავთესთან (ეს საძაგელი ქალაქის გამგეობა ხ[illegible]ნებას აძლევს, რომ სარდაფის კ[illegible]ბეები ასე ღრმად ამოიტანონ); წარსულს კვრიას ჩემი სიდედრი ვერ ვიცანი, რის გამოც აქამდის ხმას არა მცემს, და ვარანცოვის ძეგლთან ვიღაც სქელს დედაკაცს დავეტაკე, რომელსაც სამ[illegible]ბა ჭურჭელი ეყიდნა. საბრალო დედაკაცი ტალახში გადაკოტრიალდა და ჭურჭელი ისე მაგრად დაახეთქა, რომ ერთი ნ[illegible]ტეტვი ახტა, მაღაზიის კარების დიდს მინას ეცა და მიიმსხვრია. მეტი ღონე არ იყო, დიდი ბოდიში [illegible] ჭურჭლის ფასი გარდავიხადე, მინაც ვზღვ და... ისევ იმ ფიქრმა დამავლო ხელი და დამიწყო წეწვა და გლეჯა.

დიაღ, ეს მეშვიდე ღამე იყო. ხვალ [illegible]ალ-წელიწადია. ან ეხლა, ან ამაღამ ან ხულ ველარა-მეთქი, ვიფიქრე. საღამოს რვა საათია. [illegible]ნებამდის მოვახერხებ რასმე. ჩემის სამუშაო ოთახის კარები მაგრად მიეხურე, იარაღი მოვიმზადე, პაპიროსს მოვუკიდე და ის იყო... კარები გაიღო, მოსამსახურე დედა-კაცი შემოვიდა.

— ბატონო, გოზინაყისათვის თა-

ეხლანდელი ქართველი და ვინ ქვეყნისათვის შველა, ქვეყნისათვის სამსახური, თავისის ერისათვის რისიმე გამეტება!.. ჩვენი მეზობლები სომხები განა მარტო ვაჭრობამ, აღებ-მიცემობამ გაიღვიძა, წარმატება [illegible]ეუმკვიდრა, განათლების გზაზე დაყენა? არა. ძვირად იპოვით ადამიანს, რომელსაც ინდივიდუალიზმი ისერიგად ჰქონდეს განმტკიცებული, როგორც სომეხს; ეს თვისება თითქმის შეუწყნარებელ, ულმობელ თვითმოყვარეობამდე, ეგოიზმამდეა მიღწეული. მაგრამ ამ თვისებასთან საუცხოოდ შეუზავებია მას მეორე თვისება, მეორე მაღალი, კეთილშობილური გრძნობა: ერის სიყვარული, მისი სამსახური, მისთვის თავ-განწირულება. სომეხი სცდილობს, იღვწის, ჰმეცადინეობს, სულსაცა და ორცსაც აკლებს, რომ ქონება შეიძინოს, ცოლ-შვილი უზრუნველყოს და უეჭველად თავისს ერსაც ხელი შეუწყოს, ხელი გაუმართოს.

თითქმის ყველა სომეხთა დაწესებულებას კერძო კაცთა შემოწირულება ასაზრდოებს. იგი უდგამს სულს სომეხთ ეკლესიას, აკადემიას, სემინარიას და სხვა მრავალ გვარს საერო სიკეთეს. სომეხთა გონებითს წარმატებაში ქველმოქმედებას დიდი წილი უძევს. მარტო ანანოვმა რომ სარგებლობა მოუტანა სომხებს, იმდენი ღიაწლი მთელ ეხლანდელ ქართველობას არ მიუძღვის მამულის წინაშე. ჩვენის ერის ჭირი ჭირად არ გვიცვლია ჩვენის ერისათვის, გული არ გვტკენია.

მაშ რაზედ გაიფლანგა, დაიღუპა ამდენი ყოფა-ცხოვრება, ამდენი სიმდიდრე. ახალ დროს ეკონომიური ზედ-მოსეცას ვერ გავუძელითო, ამბობს დღეს თავისს წერილში ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. ვაჭრობას ყოველ გვარი შეღავთი მიეცა, საქმე გაუადვილდა, კანონები სწყალობენ, მიწის მუშაობა, სასოფლო სამეურნეო წარმოება-კი უყურადღებოდ არის მიგდებული, ბეგარა, ბეგარა, ბეგარა

ლისაგანა მეპირს ეს საქმე. დაიერინა, მივცეთ, მივცეთ, კაი ბიჭიაო. ავიღეთ და მივეცით. ეხლა-კი, აგერ მეორე წელიწადია, ქალსაც მე ვინახავ, სიძესაც. მოდით და ეხლანდელს დროში ენდეთ ხალხის ხმას, მეტადრე მაჭანკლების ენას. კაი ბიჭიაო! რითია კარგი ბიჭი, გამაგებინეთ ერთი? იკითხა და თავი ჩემკენ მოიღო.

მე ხმა არ გავეცი. მთვლემარე კაცმა ისევ გამოახილა თვალები და დამიწყო ყურება, თითქოს ამბობდა, რას ჩაგაცივდა, მაგისი ხომ არა გმართებს-რაო. ორს ქალს მოჰბეზრდათ ყურის გდება, ისევ ერთმანეთისაკენ მიიღეს თავი და დაიწყეს ჩურჩული. მოხუცებულმა მანდილოსანმა ზურგი მოგვაქცია. ამ ლაპარაკში კონდუქტორიც შემოვიდა, თვალით სკამზედ გამწკრივებულს ინდაურებს დაუწყო სინჯვა და თან ჩვენ გვითვალიერებდა, თითქოს გვეკითხება, ვისია ეს ინდაურები.

— კაი ბიჭია და თავისი ცოლი შეინახოს, გაგაგრძო სქელმა კაცმა და ახლა გოლებულს კონდუქტორს მიუბრუნდა, რომელსაც არ ესმოდა, რაზედ იყო ლაპარაკი, ვინ იყო კაი ბიჭი, და ვერც ის გამოეცნო, ვის დაეწყო ოთხ-ოთხი ინდაური ერთად სკამზედ. ამ დროს მთვლემარე ჩუმი კაცი წამოდგა, ქეშად შეჰხედა ინდაურების პატრონს, თითქოს სამდურავს უცხადებს რასმეო, და გავიდა.

— განა კაი ბიჭი ის არის, ვისაც მშვიდი ხასიათი აქვს და სმა არ უყვარს?! არ ისვენებდა ენა-ჯარტალი: მოიგოს და სჯამოს. მე ჩემებიც ბევრი მყავს შესანახი. ახლა ერთი ეს ავსწანთ...

აქ მატარებელი შედგა და ველარ გავიგეთ, რის ახსნასა გვთხოვდა სქელი კაცი. გადავედი მეორე, იქიდგან მომავალს, მატარებელში. შესვლისთანავე თვალი გადავავლე იქაურობას, ინდაურები ხომ არსად აწყვია კიდევ-მეთქი. არავინ იყო. ამ გარემოებაზედ არხეინად მოვახწიე სახლს. შუადამეს გადაცილებული იყო. ჩემს სამწერლო სტოლზედ თავისი ᲮᲔᲠ დაუთავებელი, ახალი კაბა დაედო ჩემს ცოლს, რომელსაც, კაბას და არა ცოლს, ცალი მხარე ჩახეული ჰქონდა და ერთს ალაგას ფურთხი დაჰკროდა. გამახსენდა, რომ წეღან გავაფურთხე და ისე გავედი-მეთქი.

ჩამი-ჩუმი არ იყო. სამზარეულოში მოსამსახურე დედაკაცი რაღაცას ახრიგინებდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავავლე კალამს ხელი და ვიფიქრე, — ეხლა მაინც დავწერო საახალწლო ნომრისათვის რამე, თორემ ველარ მოვასწრებ, რას იტყვის რედაქტორი, სირცხვილია, სხვა არა ყოს რა-მეთქი. დავიწყე თუ არა წერა, ერთბაშად დიდის რახუნით გაიღო ყურთამდე კარები და ჩემი ცოლი შემოვიდა გაალმასებული. თვალები ნამტირალევი და გაწითლებული ჰქონდა, პირი დაჭიროᲮოდა.

— შენ კაცი ხარ, ადამიანი?..

— თუ ღმერთი გწამს, დაჩუმდი მეთქი, შეეშუდარე: მომასვენე, ქრისტიანო, უნდა ვიმუშავო, დავწერო რამე საახალწლოდ. ამიდამ ხურას მეტყვი და...

— არ დავჩუმდები, არა!.. მე ხომ ივისსა და ტომში თავი მომეჭერი და ხვალინდელი ბედნიერი დღე ჩამაშხამე. ხვალ ძველის კაბით უნდა ვიყო...

— რა ვქნა, აკი ფული მოგეცი...

— ფული მოგეცი!.. გამომაᲮავრა: მერე, რომ მომეცი?.. ეს ხომ დახიე და ზედაც მიაფურთხე!.. ახლა მაგისი ნაჭერი საიდგან ვიშოვნო. მოგეცი!.. ჭირი მომეცი და დოზონა, არც შენს ფულსა აქვს მადელი და არც შენს პურს...

მოთმინების საᲬყაო ამეკსო. „დაჩუმდები თუ არა“-მეთქი, დავიღრიალე და სიბრაზით მარმარილოს ასამშრალებელს წავავლე ხელი.

— ჰო, დამარტეო, მცემე, ეგ-ღა გაკლდა?.. ი ბავშვს იქ ამოუვა სული, მე ცემით მომკალი და შენც ეგ გინდა, ბაიყუშო ხარ და ბაიყუშად უნდა იცხოვრო.

— ვინ ბავშვს, რას მიედებ-მოედები, სასიკვდილო რა სჭირს?!.

— არაფერი, შენს ხელში რა გაუჭირდება?! აი, წადი და შენ მოუარე, შენი გასაგისია და შენვე უპატრონე.

კატუნიას ხველა ასტეხოდა. მოსამსახურე დედაკაცი დაეხმარებინ დახმარდა, რომ უეცველად ხეწნაგი იქნება, იმ კვირაა ქვემო ᲥᲣᲩᲐᲨᲘᲐᲪᲘ მოუკვდა ერთს ორის წლის ვაჟაშვილი ხეწნაგით, დადის ეს სენიო.

მეტი ღონე არ იყო, გადავიცვი პალტო და წავედი ექიმის საძებნელად. ვეღარც ეტლი ვიშოვნე ᲩᲥᲘᲛᲘᲪ ვერსაც ვიპოვნე. ვინ გამომყვებოდა ახალ-წლის წინა ღამეს. გზაზედ ნაქეიფარი, ნალოთავარი ხალხი მხვდებოდა. მეოთხე საათი იყო, რომ მოღალულ-მოქანცული დავბრუნდი.

კატუნიას ჩასძინებოდა. ჩემს ცოლს იმის გვერდით ეძინა ტან-გაუხდელად. სრულიად მოშლილი მივეგდე ტახტზედ და ჩამთვლემოდა. ძილში რა არ მომელანდა: ხან თავ-მოჭრილი კაცები მეხვეოდნენ, ხან ჩემი ცოლი ინდაურზედ შემჯდარიყო და სადღაც მიფრინავდა... მესიზმრა ისიც, ვითომ საახალწლო წერილი დამეწერა და რედაქტორს ვუკითხავდი.

როდესაც გონებაზედ მოვედი და გამოვეფხიზლეთ, თავს ჩემი გაზეთის დამტარებელი დამდგომოდა, ახლად დაბეჭდილს ნომერს მაწვდიდა და ყურში ჩამძახოდა:

— მოგვილოცნია, ბატონო, ახალი წელიწადი, მრავალ ამ დღეს შეგასწროთ ბედნიერადაო!..

რასაკვირველია, გაზეთში ჩემი ნაწერი არა იყო-რა დაბეჭდილი.

ორ-ანი

„...ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ?!.“

(საახალწლო სურათი)

ქვეყნად ბნელოდა, ᲮᲐნლა და ბურუსს მთლად მოეცვა მყუდრო სოფელი, მიწის პირად გაჰკვროდა და ადამიანთ ჩაგრულს გულს სტანᲮᲐᲜᲚᲐᲤᲐᲠᲘᲐᲓᲐ. სამგლოვიარო ძაძა ეცვა არე მარესა და გულ-ჩათხრობით, გესლითა და შუამით ვიღაცაზედ იფუᲨნებოდა, იმდაღრეᲑᲝᲓᲐ.

ვისა ჭალოვობდა?

ვისა და... ერთს მოხუცებულს, მკირე ხნიანსა, მაგრამ უდროოდ დაბერებულსა, რომელიც სახლის ბნელს კუნჭულში, ყველასაგან მოძულებული, სიკოცხლეს ესალმებოდა.

საბრალო! ᲥᲛᲔᲜᲗᲐ მოეცვა მისი სახე, მთლად დაᲦღარეᲗოდა, ყური არ ესმოდა და თვალებით ვერას ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ, მუხლებში ძალა გამოლეოდა, სიკვდილ-სიკოცხლის შუა დაფანფალებდა და დატანᲮᲣᲚᲘ სიკვდილს ელოდა! ყველას სძულდა, მან ვერავის გულში ვერ ჩათესა სიყვარული, დიასახლისიც, ᲰᲜᲐᲢᲝᲠᲝᲑᲓᲐ. რა იმისს სიკვდილს, — გზას ულოცავდა იმიერ სოფლად წასასვლელად...

ᲪᲣᲓᲘᲐ, ოდეს წუᲗᲘᲠᲘ ᲮᲚᲐᲮᲡᲐ ესალმებოდეს და მისი სიკვდილი ᲩᲘᲠᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲗ გულს არ უწყლავდეს; ᲪᲣᲓᲘᲐ, ოდეს გაჰქრება კაცის სიᲪᲝᲪᲮᲚᲘ, — მასთანვე იშლება მისი სახელი და აღარავის მოეგონება!..

— წადი და წადი, ეუᲑნება დიასახლისი: აღარ გვაჩვენოს ღმერთმა კიდევ სხვა შენი მეზობელი!

— წავიდე?.. ეჰ, რაღა მეთქმის! ცვლებადია დრო და ᲟᲐᲜᲘ. აღარაფერში გარგავართ და იმიტომ მოგძულდით; თქვენ აწ სხვა გინდათ სულისა და გულის გამხარებელი!.. ვიცი, რომ ერთნაირობა მოსაწონი არ არის; ადამიანის გონება ახლისაკენ მიისწრაფება!.. არ ვემდურები თქვენს მაგ გვარს ყველრებას, მაწუხებს მხოლოდ ის, რომ კეთილით ვერ აღვინიშნე ჩემი ნავალი... და ეს განა ჩემი ბრალია? განა იმათივე ᲑᲠᲐᲚᲘ არ არის, ვინც მე მემდურის და მიგზავნის წყევა-კრულვასა? განა მათივე ბრალი არ არის, რომ მე უდროოდ ასე მოვხუცდი და თვით მე ჩემის თავის დანაᲨᲐ მზარავს, განა მიზეზი მიზეზს არ იწᲕᲘᲗ?.. ეჰ, რა გითხრა, ახალგაზდა ხარ, შეუᲜᲔᲑᲔᲚᲘ და არ იცი ადამიანის ნამოქმედარის დაფასება!..

— დღეის შემდეგ აქ, ამ სახლში, სხვა ისადაᲥრებს, სხვას დაუთმეთ ეს სადგომი, ის განაგებს აქაურობას!..

— გული ახალისაკენ მიგიწᲕᲔᲗ და ის-კი გავიწყდება, რომ მეც ერთს დროს ახალგაზდა ვიყავი, მეც სიხარულით მიმიღეთ, წინ მომეგებეთ, გადამიშალეთ ფიანდაზად გრძნობა-გონება, ტახტად დამიდგით თქვენი ნდობა და მოელოდით ჩემგან სარგებლობას, მაგრამ იმედი გაგიცრუᲗᲔᲗ და ამაში-კი არ მიძევს ბრალი, არა და არა!..

„საუკუნო საუკუნოს მისდევს, დრო დროსა სცვლის, გარემოება გარემოებას!.. კაცის გონებაც მშვიდობისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ვერ ᲰᲐᲬᲐᲕᲐ ეს მშვიდობა და მოსცენება! იგი იბრძვის და Ბრძოლაში სულის მშვიდობა ძნელი შესამᲩᲔᲜᲘᲐ. საუკუნეებმა წარიტაცეს ჩემისთანანი, ბევრი იმსხვერᲩᲚეს, გამმწარეს, გაᲮᲐᲜᲘᲚეს; ბევრთ აღნიᲨნეს თვის“ ნავალი, ნამოქმედარი და დასტოვეს უკვდავ ძეგლად, მოსაგონებლად... მაგრამ საუკუნეებმა-კი არა, არამედ კაცის გონების მოღვაწეობამ დაუვიწყარ-ᲰᲧᲝ ზოგიერთი საუკუნეთითოეულს კაცს არ ძალ-უძს იმის გაკეთება, რასაც შესძლებს მთელი ერი, შთამომავლობა; ვერასფერს შეᲰᲥᲛნის მარტო გმირი, წინამძღოლელი, თუ არა ᲰᲧაეს მას მომᲮᲛᲐრე, თანამშრომელი!..

„იᲩნება მკითხო, ასე უდროოდ რამ დამაბერა, რამ მომიპᲮᲐ სიᲪᲝცხლის ძალი, რამ მიიძულა, რომ დავსტოვო ესე სოფელი და განვისვენო ჩემს წინაპრებთან? — არ დაგზარდები და გიპასუᲮებ.

„ვნახე ხალხი: ᲫᲛᲝᲑᲐ, ერთობის მქადაგებელნი, ერთმანეთს სისხლის საღვრელად წაეკინკლაᲖᲕᲜᲗ; მაყურებელნი, რომელნიც წინად სიყვარულსა და ერთობას ᲰᲐᲓᲐᲓᲐᲒᲓᲔᲚᲜᲗ, ეხლა განგაᲨᲘ სᲪᲔᲛᲓᲜᲗ მთს ᲫᲘᲓᲔᲚᲖე, აᲫᲘᲖᲔᲓᲔᲚᲜᲗ და თანაც გულᲨᲘ ᲰᲬᲘᲠᲝᲑᲓᲔᲚᲜᲗ: „ოᲰ, რა კარგია, ერთი მეორეს წამᲝᲐᲥᲪᲔᲡ და ნადავლით ჩვენ ვიხარებთო“...

„ვნახე კაცები, მეგობრებთა გაფიცულნი, უერთმანეთოდ სიამოვნებას ვერსად ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲓᲔᲚᲜᲗ, მაგრამ ესევე კაცები, მალულად, ურთი-ერთსა საფლავს უთხრიდნენ...

„ვნახე ცხოვრება, გესლ-ᲨᲮᲐᲛითა შეᲬᲔᲖᲐᲕᲣᲚი! ერთსა მეორე კიბედ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ აყუᲫᲔᲑᲣᲚი, ადიოდა ზედ და დანარᲩენს ᲑრᲫოს, შეᲨᲣᲑᲔᲑᲣᲚთ ᲨᲘᲛᲨᲘᲚ-სიᲪᲘᲕᲘთ, ფეᲮ-ქვეშ სრესავდა: თვითონ ᲰᲮარობდა ᲰაგრᲫᲚთ-დავრდომილთ ნაოფლარითა. კიბედ გამᲮდარნი, ბეᲩავად ქმნილნი ვერა ᲰᲔᲑედავდნენ ᲮᲛის ამოღებას; ვერ ეთქოთ: „ჩვენც Ხალხი ვართ, ადამიანნი, სხვებთან ერთად ჩვენც გვნდა ცხოვრება“. დაᲩაგრულები ვერ იᲩენდნენ ძლიერებასა და მᲩაგვრელნი-კი თანაგრძნობას-შებრალებასა!..

„ვნახე მოძღვარი, ერის და ქვეყნის წინამძღოლიელი, გაგაკვირვებდათ თვის ქადაგებით და მოძღვრებითა, მაგრამ იმავ დროს იმისი გული, იმისი გონება საᲨᲘᲨარს რასმე წარმოადგენდა: არ ასრულებდა იმას, რასაც სიტყვით ᲰᲛოძღვრებდა და Ხალხი-კი, თვალ ᲮუᲗვილი, გონება Ბნელი, იმისს სიყალᲑეს თაყვანსა სᲪემდა...

„ვნახე ᲫᲛა ᲫᲛაზედ აღᲫურვილი, გამᲮეცებული, არ დაინდო და გამოსᲩრა სᲐᲑრალოს ყელი; ᲨუᲑლი გაუᲮო და გულ-ღვიძლი გამოაღდრა, რომ მისის სარᲩოთი Ბოლოს თვითონ თავი ერᲩინა...

„ვნახე კრᲑული, ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელი, სხვისგან მთხოვნელი ᲰᲐᲪᲘᲕᲘᲡᲗᲘს და თვითონ კი დაუნდობელი, სხვას ტყავს აძრᲝᲓა და ამავე დროს უმოძღვრებდა: მიმიღე მე ᲫᲛაᲐ...

„ვნახე ერი, უᲗᲮᲝ-უკვალოდ მოხეტიალე; არ ახსოვს მას თვისი წარსული, თვისი ცხოვრება; არ იცის მან თვის მომავალი, თვისი მყობადი, ერთ-სულობა იქ არ არის გამეფებული! სᲐᲑრალო გმირნი სხვა დასხვა გზით ეწᲕᲘᲜ ცხოვრების ᲭᲐᲜს და ტვირთი-კი ისევ ერთსა ადგილზე დაუძᲘრᲔლად სძეს; თავისისავე წყალობით დაკნინებულა იმის ცხოვრება...

„კიდევ მკითხავ, რამ გამტეხა, რამ დამაბერა? უკუᲛᲐრთობამ მომᲘᲜᲣნა წელში, ცხოვრᲔბამ მასვა ფიალა გესლით ᲨᲣᲗᲮᲐᲕᲣᲚი ჩემი. ᲑრᲐᲚᲘ კი... არ არის, არა“!

ის საუᲑრობდა, ღამე კი თანდათან იპარᲩოდა. ერთხელ იყივლა მამალმა, მოხუცი შეᲫაგᲫაგდა, ტანში ᲪრუᲜᲔᲑᲘᲡᲐ დაუარა, თითქოს იგრძნოვო სიკვდილის მოახლოᲑეᲑა, გაფითრდა, ძლივს ლუღლუᲦᲣᲚდა.

— გსურს... კიდევ გითხრა... კიდევ მკითხავ!... არ მიხილავს არც ერთს დღესა ტკᲑილი ცხოვრება... არ მინახავს...

ამ დროს თოფმა დაიგრიალა, მოᲰყვა მეორე, ზედ დაერთოო მამლების ყივილიც. მოხუცი შეკანკალდა, თითქოს გულში ტყვია ᲰᲐᲠᲪᲣᲚᲐ, იკლაკᲜᲔᲑოდა; სიᲑნელეᲨი იმისი არსებობა იხრᲬნებოდა, ᲚᲐᲜᲓისა მგზავსად ნელ-ნელა ᲰᲐᲠᲪᲔᲑოდა. თოფᲘᲡᲗᲕᲘᲡ სროლას მოუᲮᲨირეს და იმ ადგილას, სადაც მოხუცი ᲰᲐᲫᲕᲜᲘᲡოდა, თავი ამოᲰᲐᲭᲐ ახალგაზდა, ყᲛაწვილმა კაცმა. მოხუცი ილეოდა, ის-კი იᲮრდებოდა!..

ᲪᲐᲛ ირაᲦრაᲦ და ნათლად გამოსᲩნდა პირ-მᲦიმარე, ᲮᲐᲜ-ღონით სავსე ᲧᲛაწვილი კაცი.

— ახალი წელი, ახალი წელი!.. გაისმა და ეს ხმა სწრაფად მოედო არე-მარეს.

— მოგვილოცნია ახალი წელი! ესალმებოდა ერთი მეორეს.

— ახალი წელი?! მოისმა კუნᲭულიდგან Ხრინწიანი, მიმკვდარებული ხმა და თან მᲬარე, დამცინავი ᲮარᲮარი: Ხა, Ხა, Ხა! ᲮᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ?! ᲰᲐᲨ Ხა, Ხა, Ხა! მალე, მალე ვნახავ, რომ მაგასაც ჩემსავით მიწა გაუთᲮაროთ და მიᲑაᲮართ სამარესა... ახალი წელი ვერ მოგიტანთ მᲮიარულებას, თუ არ მოაწყობთ თქვენ თითონᲗ თქვენსა ცხოვრებასს!.. და ამ სიტყვებთან ერთად განუტᲦევ სული.

დიასახლისი ახალს წელს გაუმასპინᲫᲜდა: ტკᲑილეულᲜობა მისთავაზა, მიეᲦებ სიᲮარულითა და ᲰაᲭკაცნა.

— ფეᲮი შენი, კᲦალი ანგელოᲖᲘსა! მოვედ და დამᲦყარე ქვეყანასა ზედა მშᲘდობა და კაცთა შორის სათნოᲑეᲑა!.. მოგვილოᲪნია თქვენი მოსვლა; ღმერთმა ᲰᲥმნას, რომ თქვენგან ᲑეᲑრი სიკეთე შეᲦვეᲫინოს; გაᲦვეᲮარეᲑინოს მოყვარე და მტერი დაᲦვემარეᲪხეᲑინოს!

— აჰ, არა, ყველას, ყველას სიᲮარული, მტერსაც და მოყვარესაც სიყვარული! ყველას, ყველას თანაᲦრძნობა და სიᲑრალული! იძახდა ღიმილით ᲧᲛაწვილი კაცი. ჩემი მოსვლა რომ თქვენთვის სახეᲘრო იყოს, თქვენც უნდა შესცვალოთ ცხოვრების წესᲘ-რიგი, მოვედი იმისთვის, რომ ვᲘხარო ჩაᲦრულთა გული; მოვედი იმისთვის, რომ სიკეთე შეᲦვდნენ ქვეყანასა. ეს-კი მხოლოდ მაᲨინ იქᲨნება, როდესაც ერთობა და სიყვარული დᲦყარდᲔᲑა ქვეყანაზედ, როდესაც ერთის ძალითა და ერთის აᲮრით გაიმსᲩᲕალᲔᲑა ყველა.

იმედი

ᲠᲐ ᲛᲐᲮᲐᲨᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ?!

(ძველთა სიყᲦარული)

რა გაᲦᲛუნᲔᲑᲔᲡ? მკითხავ, ის მაᲦᲛუნᲔᲑᲔᲡ, რომ შენისა სიᲨორისა გᲔᲚᲡა უკᲑენია ჩემთვის გულსა და ღვიძლსა, დაკოდილი სული ჩემი პირთამდე მომსᲚᲔია, ჩემი წᲐმლისა წᲐმალი და თერიაკი შენი ᲑაᲦი არის და ჩემისა Ბედისა მᲮე—შენი პირი, და შენგან კიდეᲦგანი ვითარ არ დაᲦᲛუნᲔᲓᲔ?..

ᲕᲬᲘᲪᲐᲕ ყოᲕლითა საᲬიცითა, რომ ვირე ქვეყანა ეᲦოს, ვირე მთათა ზედან ქარი ᲰᲥროდეს, მინდორთა ზედან ნადირნი ძოᲫᲔᲚᲔ და ზღვათა Შიგან წყალი და თევზი იპᲝᲩოდეს, ბნᲔᲚსა ღამესა სიᲨიგე ᲰᲥონდეს, ცათა Შიგან ვარსკᲚᲔᲕი ᲰᲥროდეს, მᲮესა და მთვარეს ᲔᲚვარᲔᲑა არა მოაკლდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უᲦვარდეს, — შენგან კიდე მე არაᲕინ მინᲦოდეს.

პირი სისავსითა თხუთმეტის დღის მთვარეს გიგავს და მᲮესაცა სინათლეს მოᲬღეᲑ; ვარდი ღაწვთა შენთა სიᲐხლითა დაᲕᲧითლᲔᲦᲑის; მარგალიტი კᲑლთა შენთაგან გაწᲨინᲔᲦᲑის; თმანი მუᲨᲐობისაგან შეᲦკᲕალᲔᲑიან და თუ გაᲮაᲨუᲚიკა პირსა შენსა ᲰნᲐᲮავს, ხისა მᲨვერვალთათ ფურცᲚᲔსა ᲩამᲮᲐᲠᲘსა სიᲠᲪხვᲘᲚᲔითა, ვინაიᲦგან მთვარე ხარ გაᲕსᲔᲑული, მთიᲦბი ხარ ცისკრისა, სანთᲔᲚი ᲚᲐᲨრისა, ᲮᲔᲚᲛწიᲦფთა სანᲐᲠᲔᲚი, კᲦᲚᲪᲣᲪთა შვენᲔᲑა და მანათობᲔᲚი, ვარᲦი კოკობი, სოსანი სურᲗᲔᲚი, მუᲨᲐ-სუᲚი ხარ, თმა-ამᲮᲐრი და სარი

ნაკვთი, სიკეკლუცითა მზე ხარ და ნეტარძი მას, ვისცა ანათებ!...

სიტხესა შიგან ვერავინ დაიძინებს და მე ცეცხლსა შიგან მყოფმა რა გამოვისვენო? რა მზე ანუ მთვარე დავინახო, შენი პირი მომეგონების და რა ისარი, ანუ სარო დავინახო, თაყვანსა ვცემ შენისა ნაკვთისა მიმსგავსებისათვის; სადაცა ვარდსა ვპოებ, მოვკოკნი ღაწვთა შენთა სახეჰისათვის; დღისით ნათელსა ვეკრეტ შენისა მსგავსებისათვის და ღამით სიბნელესა, რომელ შენნი თმანი მგონებიენ. თუ ჩემოდენნი პირნი მთასა დაემართნენ, წყალისა ნაცელად მასცა სისხლი გამოეკენძის!..

თუ შეიდნივე ცანი ქაღალდად მქონდეს, სრულად ვარსკვლავნი მწიგნობრადა მყვეს, ღამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვეშა თა და თეეზთაებრ ხშირად სხდენ, შენმან მზემან, ნახვევარსა ვერცა მაშინ ვიტყოდე ქებასა შენსა. ბაგეთა უკვდავების წყალი გიდგს და ვინცა გაკოცებს, არა მოკვდების!

ჩემი გლახ გული სადაფსა ჰგავს, რომელ შენი სიყვარული შიგან დამთესლებია და მისი ამოღება არავის ძალ-უძს; იგი საკარავნოსა ფუნდუკსა ჰგავს, შენის სიყვარულისა ქარავანი მიწყოთ შიგან დგას. შენისა კი დეგანობისაგან ეზომითა პირითა გატენილია ესე ვიწრო გული ჩემი, რომელ დიდსა მინდორსა სამოკისა დღისა ეჯსა შიგან არ დაეტევის, თვალი ჩემი ზღვა ნამისა სიმრავლითა და გული—ჯოჯოხეთი პირთა დაულევრობითა. თუ შენისა პირისა მზე მოვიდეს, ჩემისა შეპირვების ღამე განაოლდებინ!..

თვალნი თვით შენისა ნახვისათვის მინდან, ენა—შენისა მოუბრობისათვის და ყურნი—შენთა სიტყვათა სმენისათვის; შენგან წყვეა კუთხეკვდ მიჩნს და შენგან გინება და აუგთა მოთვლა ესრეთ მიამბის, ვითარმცა ნებიერსა მუტრიბთა ხმა მესმოდა. სადა ხარ, ჩემო ისრისაებრ მართალო, მნახე შენისა სურვილითა მშვილდისაებრ გამრუდებული!..

ტანი ქვისა და სული რკინისა ვერა გასძლებს ამა ყოფასა, რასაც შიგან მე ვარ. რაცა პირი მჭირვებია, მოწმად ღაწვნი მეყოფიან და მოფიცრად—სველნი თვალნი. ჩემისა უნუგეშობისა ცრემლისაგან ქალაქს ღვარი წაიღებს და კლდეთა დალეწს ჩემი კვნესა. ვითმცა რიყესა და ეკალსა შიგან ვწევ, საგებელი ესრე მეჩვენების. თუ სიკვდილი მოვიდეს და წელიწადსა ერთსა მეძებდეს, ესრე დალეულვარ, შენმან სურვილმანი, რომელ საგებელთა შიგან ვერცა იგი მპოებს. შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყვითელი, შენ სიხარულითა გაფურჩვნილი და მე—ჭირითა. მოე, ჩემო, შენითა სიწითლითა ჩემი სიყვითლე დფერე! .

თუ მთვარე თვესა ერთსა ჩემსა მიდამოს იარეზოდეს, სამკაული მისნი ვარსკვლავნი იყვნეს და ვვირგვინად მზე ებეროს, ყოველი შვენება მას ჰქონდეს, ყოველი გრძნეულება მან იცოდეს კაცთა გულის მიმზიდაობისათვის, კოცნა მისი უკვდავება იყოს და შეხედვა მისი სამოთხისაებრ სასიამო, ნახვა მისი ბერთა გამაყმობელი და ბაგენი მკვდართა გამაცოცხლებელი,—მანცა შენი სიყვარულ ვერა დამაკვდებინოს, მანცა ესე საამო ქმუნა ჩემი ვერა განაკარვოს!..

ახ...

დამაკვირდი

—

ასწონ-დასწონოს თითოეულმა თავისი ფიქრი და დაფიქრდეს, რომ იგი წარსულსა და მერმისს უნდება. ჩვენ თითქმის ორასოდეს ორა ეფიქრობთ აწმყოსათვის, ხოლო თუ გაკეხსენებთ ხოლმე აშეალთად, ისიც ამატომ, რომ სანთლის სხივი გამოკუეფოთ მერმისასთვის. აწმყო ორად მიგვაჩნია, წარსული და აწმყო სიშეალესა, სიკნად მხოლოდ მერმისი გვაქვს. ამ გვარად, ეი ორა ეცნო